ნომერის ფასი 10 კაპ. — სოციალ-დემოკრატიული — (მესამე წელი)

ფასი 10 კაპ.

პარასკევი, 1917 წ. მკათათვის 7 (19)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველგვარი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ისპობა ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, р. 8 ящ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ — ... ... ბოლოს გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 146 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 146

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

პეტროგრადში საალყო წესები გამოცხადდა.

არტილერიის დახმარებით ყაზახები მეამბოხეთ ამარცხებენ.

პეტროგრადში „თავდაცვის“ კომიტეტი სდგება სამი კაცისაგან (წერეთელი, კერენსკი და ნეკრასოვი).

,,ბოლშევიკები“ თავიანთი დროებითი მთავრობის შედგენას შეეცადნენ. მეთაურად ლენინი დაასახელეს.

,,ბოლშევიკებმა“ ირ. წერეთელს დაპატიმრება დაუპირეს.

მოსკოვში მუშათა საბჭოს უმრავლესობამ დაადგინა დემონსტრაციები არ გაიმართოს.

თბილისის ,,ბოლშევიკებმა“ გუშინ მიტინგი გამართეს ორთაჭალის, ნავთლუღის და ავლაბრის ჯარის მონაწილეობით.

გალიჩის მახლობლად მტერი დიდ მოქმედებას იჩენს.

იტალეთის ფრონტზე დიდი ბრძოლა დაიწყო

რეიხსტაგმა შეადგინა ზავის მანიფესტი — გერმანია მხოლოდ თავის დასაცავად იბრძოლებსო.

ამერიკაში ცნობა მისვლიათ, გერმანეთი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს დასთანხმდებაო.

### წერილები

გრიგოლ ვეშაპელი. რევოლუციის კრიზისი.

ბ. გ. ველიკორუსები და ავტონომია.

გიორგი გვაზავა. საქართველოს ავტონომია. (გაგრძელება).

ზ. ედილი. სამურზაყანო.

პროფ. გრედესკულის წერილიდან—,,სიბრმავე“.

დეკ. ნ. თალაკვაძის სიტყვა (დასასრული).

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, მკათათვის 11-ს, მოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში, საღამოს 9 საათზე.

კრების საგანია:

**საქალაქო არჩევნებისათვის მომზადება და დარაზმვა ჩვენი წევრებისა და თანამოაზრეებისა.**

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი მოიყვანონ.

საქ. ეროვნულ დემ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

3—761—2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის 2-ე უბნის კომიტეტი**

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს გამოცხადდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებად ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—5

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

751

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—6

კვირას, მკათათვის 9-ს, დილის 10 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდება

**ქართულ სავარჯიშო საზოგადოების „ამირანის“**

დაარსება.

საზოგადოების წევრთ და თანამგრძნობ პირთ საზოგადოება სთხოვს დაესწრონ ქართულ ვარჯიშობის პირველ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აქვე მოხდება ახალ წევრთა ჩაწერა და მიღება.

3—762—1 ქართველთ მხედართა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ექიმი **მ. ი. მაჩაბელი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მელიქოვის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი **მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუმის ქუჩა, № 19.

ექიმი-ქალი **გ. მ. მუხაძე**

იღებს ხალთსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალიშვილი **ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი **ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბეებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

[illegible] მოსკ[illegible] კლინიკის მე

**ქალანდარიშვილი**

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

## რევოლუციის კრიზისი

პეტროგრადის ჯარისა და მუშათა ნაწილი „ბოლშევიკების“ მეთაურობით დროებით მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდა;

„ბოლშევიკებს“ სწამთ რომ ახლანდელი რევოლუცია ბურჟუაზიული კი არა, სოციალისტურია და ამიტომ ისინი მოითხოვენ ბურჟუაზიის წარმომადგენელ მინისტრების გადაყენებას და მუშათა ცენტრალ კომიტეტის მთავრობად გამოცხადებას; ამისათვის, ესე იგი „პროლეტარიატის დიქტატურისთვის“, იღვრება დღეს სისხლი პეტროგრადის ქუჩებზედ.

პეტროგრადში ამ ჟამად სამი ძალა იბრძვის: შუაში სდგას მთავრობა, კოალიციური სამინისტრო, რომელიც ბურჟუაზიის მემარცხენე და მუშა-გლეხ ჯარის კაცთა ზომიერ ორგანიზაციათა შემაკავშირებელია.

მარცხნივ სდგას ბურჟუაზიულ რევოლუციის და მთავრობის წინააღმდეგი პეტროგრადის პროლეტარიატი, რომელიც მოთმინებიდან გამოსულა პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისით და ყოველის ფერში ბურჟუაზიას სდებს ბრალს. მარჯვნივ სდგას ბურჟუაზიის უმეტესი ნაწილი, რომელიც ჩამოშორდა რევოლუციას მის შემდეგ რაც მან მეტის-მეტი მკაცრი ხასიათი მიიღო და დანგრეულ მონარქიის ალაგზედ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის მაგიერ ანარქიას ამკვიდრებს.

მაგრამ არის კიდევ უფრო უკიდურესი დასი: ერთის მხრივ დანგრეული მონარქიის თანაზიარნი, დამცველნი დიდ მემამულე თავადთა და მოხელეთა ინტერესებისა, რომელნიც ოცნებობენ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის შებრძოლების გამოყენებას და მეფის ტახტის აღდგენას. მეორეს მხრივ პეტროგრადში, როგორც ყოველ დიდ ქალაქში, არის მრავალრიცხოვანი უმუშევარი და უსაქმო ბრბო, რომელიც არც მონარქისტობას ითაკილებს, არც რესპუბლიკანელობას და არც ანარქისტობას, ოღონდ კი არეულობა ისარგებლოს და ქალაქი გაძარცვოს.

დღეს-დღეობით არტილერიის და ყაზახთა დახმარებით მთავრობა „ბოლშევიკებს“ ამარცხებს: გამოსაშვები სისხლი საკმაოდ ბლომად დაიღვარა, რომ დაღალულ მებრძოლთ ერთი-ორი კვირით მაინც უნდა შეისვენონ.

მაგრამ პეტროგრადის ჯანყი მთელი რუსეთის ავადმყოფობით არის გამოწვეული: ავადმყოფია რუსეთის ფრონტი, ავადმყოფია რუსეთის მეურნეობა და ავადმყოფია რუსეთის სახელმწიფოებრიობა.

ცხადია, რომ რუსეთის ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება არა თუ სოციალისტურ რესპუბლიკას არ შეეფერება, არამედ ახლანდელ უფრო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფორმასაც ვერ უზრუნველჰყოფს.

ამაშია კვანძი რუსეთის რევოლუციის კრიზისისა.

ვინ გახსნის, ან ვინ გასჭრის ამ კვანძს: გარეშე მტერი—სახელმწიფო, თუ შიგნითი—ოპოზიციაში მდგომი კლასები, ეს შემთხვევის, ბედის საკითხია, ისევე როგორც ბედის საკითხია ის, თუ სად და როდის მოიგებენ ბრძოლას ოპოზიციური კლასები, დღეს პეტროგრადის ქუჩებზედ თუ უფრო გვიან პლებისციტით არჩეულ დამფუძნებელ კრებაზედ.

გ. ვეშაპელი.

## ველიკორუსები და ავტონომია

კადეტების გაზ. „რეჩი“ უკრაინის რადის „უნივერსალს“ ემუქრება და მოუწოდებს დროებით მთავრობას დასჯოს უკრაინელები თითქო ისინი მეამბოხენი იყვნენ. ესერების გაზეთი „Воля Народа“ სწერს: „რუსეთის დემოკრატიამ უკანონოთ და საშიშათ უნდა იცნოს უკრაინელების ცენტრალი რადის ნაბიჯები. მან უნდა მიმართოს მთელს თავის გავლენას და ავტორიტეტს, რათა რადას გააუქმებინოს თავისი „უნივერსალი“. „უნივერსალი“ ამ გაზეთის აზრით, რევოლუციის ხანჯლის დაკვრაა. ასე და ამ გვარათ თითქმის მთელი რუსეთის პრესსა, სოციალისტურიც კი სასტიკათ შეხვდა უკრაინის ავტონომიას.

როცა უკრაინელებმა წინდაწინ სთხოვეს დროებით მთავრობას, რომ მას დეკრეტით ეცნო უკრაინის ავტონომია, პასუხი ვერ მიიღეს,—მთავრობამ უკრაინელები პასუხის მისაღებათ დამფუძნებელ კრებაში გააგზავნა. განრისხებული გაზეთებიც უკრაინელებს უსაყვედურებდნენ იმას, რომ მათ დამფუძნებელ კრებას არ დაუცადეს.

რათ არიან რუსეთში მწყრალათ ავტონომიაზე და ან რა მოხდება დამფუძნებელ კრებაზე? აი საინტერესო საკითხები.

ველიკოროსი, მონარქისტი იქნება ის და არისტოკრატი, ან სოციალისტი და დემოკრატი სულ ერთია, დღემდე ძველ შკოლის გავლენის ქვეშ აზროვნებს; დღემდე ვერ დაუხწევია თავი ძველი მოსკოვის ტრადიციებისათვის. დღემდე ვერ შეუთვისებია სავსებით თავისუფლება. ძველ სახელმწიფოს წეს-წყობილებაში არსებობდა პროტექტორატი და ხელშეკრულობა; ეხლა—ავტონომია და ფართე თვითმართველობა. თავისუფლების პრინციპები ჯერ სრულად ვერ შეუთვისებიათ,—თავისუფლებას უწინარეს ყოვლისა მოაქვს თანასწორობა, დამყარება იმ გვარი ურთიერთობის, რომელსაც ევროპაში უწოდებენ „ალპარი“-ს ველიკოროსს კი ყოველი თვითმმართველობა და ავტონომია ეჩვენება „ირრეგულიარულათ, ის დღემდე გაჟღენთილია ძველი ბატონობის ტრადიციებით და ყოველი თვითმმართველობა თავის უფლების შელახვად მიაჩნია.

სხვა საკითხია, თუ რა მიმართულებას მიიღებს დამფუძნებელ კრებაში კამათი ადგილობრივ თვითმართველობაზე და ავტონომიაზე.

დამფუძნებელი კრება საყოველთაო არჩევნებით იქნება 200000 მცხოვრებზე ერთი წარმომადგენელი. გამოანგარიშებულია, რომ სულ 800 წევრი იქნება კრებაზე. ამ რიცხვიდან ველიკორუსებს ერგებათ არა უმეტესი 250 ადგილისა.

1897 წ. აღწერით ველიკორუსების რიცხვი იყო მათ გუბერნიებში 45 მილიონი. ამას უნდა მიუმატოთ 20 წ. განმავლობაში გამრავლება ხალხისა, მაგრამ საერთო რიცხვი მაინც არ აღემატება 50 მილიონს. ციმბირელები არაა მისაღები ანგარიშში, რადგან იმათი პსიხოლოგია და პოლიტიკა სულ სხვანაირია.

ყველა დანარჩენი ერების წარმომადგენლები მოითხოვენ ფართე თვითმართველობას. მაშასადამე, დამფუძნებელ კრებაში ავტონომიის მოწინააღმდეგენი სუსტ უმცირესობას შეადგენენ.

ეს უნდა გამოეანგარიშებიათ უკრაინის ავტონომიის მოწინააღმდეგეთ.

ბ. გ.

## ომი და ზავი

### დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 6. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. სოფელ პოტუტორის რაიონში, ბრზეჟანისა და ქალაქ გალიჩის სამხრეთით მტერი არტილერიას ამოქმედებდა. კალუშის სამხრეთით მდებარე ს. ნოვიცის სამხრეთით მტერმა ერთი სიმაღლე დაიჭირა. ჩვენები მდ. ბეროჟნიცისკენ წამოვიდნენ. ერთის საათის შემდეგ სოფ. ნოვიცის მხრით მტერმა ხელახლა შემოგვიტია, მაგრამ ჩვენმა ქვეითა ჯარმა და ცხენოსნებმა არამც თუ მოიგერიეს, არამედ ზემოხსენებული სიმაღლე ხელმეორედ დაიჭირეს.

**რუმინეთისა და კავკასიის ფრონტი.** ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

**იტალეთის ბანაკის ცნობა**

**რომი.** მკათათვის 4. ოფიციალი. გუშინ მთელ ფრონტზე ჩვენ მეტ მოქმედებას ვიჩენდით. საღამოს ვერზიკოდან ლელე ჯამიანომდის მტრის ხაზს თოფს ვუშენდით. სიმაღლე „11247“ სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში ჩვენ მტერს თავს დავესხით. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მტერი მთლად გავფანტეთ. ხელთვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები, სამხედრო მასალები და 275 ტყვე, მათში 11 აფიცერი. ტრენტინისა და კარნიისის ფრონტზე მონტესიოსა და ტონელეს ვიწრობებში მტრის საფარს ტყვია დავუშინეთ. კონველაგის რაიონში, ტონნეცეს ზეგანზე, ფლეზერგში და სეისერის ღელეში მომუშავე რაზმები გავრეკეთ. იულიისის ფრონტზე ბილია ბოდრეცის ასპარეზს ცეცხლში ვახვევდით. აგრეთვე მარჯვედ ვმოქმედებდით კანალეს და მორსის შუა ახოილების წინააღმდეგ. სანტალუჩიიდან კაპოვანისკენ მიმავალ ჯავშნიან ავტომობილების ჯგუფი გავფანტეთ. გათენებისას პოზინცოს ზეგანზე ცელის აღმოსავლეთით დაბანაკებულ მტრის ჯარს ჩვენმა ყუმბარის მტყორცნელ საჰაერო ესკადრილებმა სროლა აუტეხეს. მიუხედავად მტრის წინააღმდეგობისა ჩვენი მფრინავები მშვიდობიანად დაბრუნდნენ. მტრის ერთი ჰაეროპლანიც ჩამოვაგდეთ. დილით იზონცოსა და კარსოს შუა მტრის ჰიდროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს. ჩვენი მსხვერპლი და დანაკლისი სათქმელი არ არის.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 4. ოფიციალი. ვერნეტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით წუხელ ჩვენ მნიშვნელოვანი ადგილი დავიჭირეთ. ნიუპორის უბანში ერთმა ჩვენმა რაზმმა მტერს შეუტია. მტრის მძლავრმა რაზმმა თავიანთ თხრილებთან დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

**სოლუნი.** მკათათვის 4. ახლო აღმოსავლეთი. ოფიციალი. ფრონტზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა. ჩვენი მფრინავები მტერს ხანგამოშვებით ყუმბარებს უშენდნენ.

**ლონდონი.** მკათათვის 4. ეგვიპტეში. მკათათვის 1 ღამე ზღვის პირას თურქებს შევუტიეთ. ხელთ ვიგდეთ 19 ტყვე, 1 ტყვიისმფრქვეველი და 16 თოფი. დავჭერით 100 კაცი, მათგან რამდენიმე სასიკვდილოდ, ჩვენ 12 კაცი მოგვიკვდა.

**გერმანელების ცდა.**

**პარიზი.** მკათათვის 4. მტერი, მარცხის მიუხედავათ მარონვილერის და შმენდე-დამის წართმევას სცდილობს. კონტრ-იერიშები კონტრ-იერიშებს მოსდევს მაგრამ ამაოდ. ასევე გაუცრუვდათ გერმანელებს სენ-კატენისა და კორბენის მახლობლად შემოტევა.

**არგენტინა და გერმანეთი.**

**ბუენოს-აირესი.** მკათათვის 4. გერმანიისა და არგენტინას შორის აუცილებრივ დიპლომატიური განხეთქილებაა მოსალოდნელი. მოელიან გერმანეთის პასუხს არგენტინას ნოტის შესახებ. ნოტა გემ „ტორის“ დაღუპვის გამო დაკმაყოფილებასა და არგენტი-

ნის გემებზე თავდასხმის შეწყვეტას მოითხოვს. უმრავლესობის აზრით გერმანელები ამ მოთხოვნილებებს არ აასრულებენ. ბერლინში გაგზავნილი არგენტინის ელჩის ნოტის პასუხის მოთხოვნა აქვს დავალებული.

**შვედების გემის დაღუპვა.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 4. ინგლისიდან შვეციაში მიმავალი შვედების გემი „ფრედერიკა“ (1200 ტონიანი)—შეშით დატვირთული გერმანელთა წყალქვეშამ ჩაძირა; მგზავრები გადარჩნენ.

**უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 27. (დაგვიანებულია). „ასოსიატედ-პრესსი“ იუწყება: ვაშინგტონიდან მოსული ცნობით, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო,—გერმანეთის საიმპერიო მთავრობა დათანხმდება უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზედაო.

**თანაგრძნობა**

**კოპენჰაგენი.** მკათათვის 2. (დაგვიანებულია) დანიელების პრესა დიდ ყურადღებას აქცევს რუსის ჯარის შეტევას. კერენსკის ბრუსილოვს და რუსის ჯარს წერილებს უძღვნიან და თანაგრძნობას უცხადებენ.

**მილოცვა**

**რომი.** მკათათვის 1. (დაგვიანებულია) იტალიის კომიტეტის თავმჯდომარემ სან-მარტინომ რუსეთის ელჩს რეზოლუცია გადასცა. რეზოლუცია რუსის ჯარს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს.

**რეიხსტაგის მანიფესტი ომის მიზნების გამო**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 30. (დაგვიანებულია) ნაციონალურ „ტუნგ“-ის ცნობით გერმანეთის რეიხსტაგის პარტიამ უკვე შეიმუშავა მანიფესტი, რომელიც ომის მიზნებს შეეხება. მანიფესტში ნათქვამია, რომ 1914 წ. მარიამობისთვის 4-ს რეიხსტაგმა ღრმა რწმენა გამოსთქვა რომ გერმანეთი მხოლოდ თავისუფლების დასაცველად და ტერიტორიალურ ხელშეუხებლობისათვის იბრძვის. ეხლაც, ამ ომს სამი წლის თავის წინა დღეს, რეიხსტაგის უმრავლესობა ისევ ძველ მიზნისკენ მიილტვის. ვიდრე მტერი სახელმწიფოები (გერმანელების მიერ შემუშავებულ?) ზავს არ მიიღებენ, გერმანელები თავიანთა და მოკავშირეთა უფლებების მოსაპოვებლად ომს არ შესწყვეტენ.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ფინეთმა რუსეთს ფული არ ასესხა.**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 3. სეიმის გუშინდელ სხდომაზე სავალუტო სესხის საკითხი განიხილეს. კომისია თავის მოხსენებით იმ დასკვნას დაადგა, რომ უარჰყონ 350 მილიონიანი სესხი და ვალიუტა რუსის ვალიუტაზე გაცვლით მისცენ. ამასთან გამოითქვა სურვილი, რომ მთავრობამ სამხედრო უწყების მუშაობა ფინეთში წესიერ გზაზე დააყენოს. თავმჯდომარის წინადადებით სავალუტო სესხის საკითხი მოხსნილი იქმნა.

**პროფ. პოსნიკოვი მიწის საკითხის შესახებ.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 1 (დაგვიანებულია) დაიწყო მიწის საქმეთა მთავარ კომიტეტის მეორე სექციის კრება. თავმჯდომარემ პროფესორმა პოსნიკოვმა განმარტა, თუ რა დიდი ხარალის მოტანა შეუძლიან მიწის საკითხის სეპარატიულ გადაწყვეტას. პოსნიკოვმა სთქვა, რომ ეხლა საქმის დროა და არა სიტყვებისაო. დამფუძნებელ კრებამდის 3 თვე და დაგვრჩა და თუ მანამდის რეფორმების პროექტი არ შემუშავდა, მოსალოდნელია, რომ დამფუძნებელი კრება სრულიად რუსეთის მიტინგად გადაიქცესო, ეს კი მეტად საშიშიაო.

**მესაკუთრეთა კავშირი.**

**ჩერნიგოვი.** მკათათვის 2. (დაგვიანებულია). დაიწყო მიწის მესაკუთრეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. მონაწილეობდა 120 კაცი, მათგან 90 გლეხი. ამ გვარი კავშირები დაარსდა ქვემო-ნოვგოროდში და ნოვგოროდ-სევერსკში. კავშირებში გლეხთა ელემენტები სჭარბობს.

**თავისუფლების სესხი.**

**ადესა.** თიბათვის 30. (დაგვიანებულია). თავისუფლების სესხის კომისია 12 ჯგუფად გაიყო, ამ ჯგუფებს დაწვრილებითი ცნობები მოეპოვებათ მცხოვრებთა ქონების შესახებ. ცხარე აგიტაციას ეწევიან სესხისთვის. ორ დღეში შეგროვილ ა შვიდი მილიონი მანეთი.

# აჯანყება პეტროგრადში

**საბჭოების მოწოდება პეტროგრადის ჯარებისადმი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. მკათათვის 3-ს მოხდა სწრაფი სხდომა მ. და ჯ.-თა საბჭოების ცენტრალი კომიტეტისა. სხდომაზე დაესწრნენ რუსეთის გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლებიც. იმსჯელეს მოსკოვის 1-ლი ტყვიისმფრქვეველი პოლკის მოქმედების შესახებ, რომელმაც მთელ რუსეთში დეპეშები დაჰგზავნა, სადაც შემდეგი ლოზუნგები იყო აღნიშნული: —„ძირს დროებითი მთავრობა“ მთელი ძალა საბჭოებსო“ და სხვ. ყრილობამ შეიმუშავა მოწოდება პეტროგრადის ჯარებისადმი, სადაც აღნიშნული არის, რომ არც ერთ ჯარის ნაწილს ნება არა აქვს შეიარაღებული გარედ გამოვიდეს მთავარსარდლის დაუკითხავად. საღამოს 5 საათზე ეს მოწოდება დეპეშით გადაეცა სამხედრო შტაბს.

**მოძრაობა ქარხნებში**

გუშინ საღამოს გამოირკვა, რომ პეტროგრადის ქარხნებში მუშების მოძრაობა დაიწყო. აღმასრულებელმა კომიტეტმა საგანგებო დელეგატი გაჰგზავნა მუშებთან და მოძრაობის შეჩერება სთხოვა.

**ბოლშევიკები კონტრ-რევოლიუციას ებრძვიან.**

თავრიდის სასახლეში პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის სწრაფი სხდომა მოხდა. ბოლშევიკებმა კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა მოითხოვეს. მათმა წარმომადგენელმა ზინოვიევმა განაცხადა, რომ კონტრ-რევოლიუციონერების მეთაური ამ ჟამად მილიუკოვი არისო. კადეტების სამინისტროდან გასვლა ეს მათი კლასობრივი ინტერესების შეგნებას მოასწავებსო. ზინოვიევი მთავრობას ბრალს იმაში სდებს, რომ ისინი ბოლშევიკებს ებრძოდნენ და კონტრ-რევოლიუციის მოახლოვება კი ვერ შენიშნესო.

**ბოლშევიკების მოთხოვნილებანი**

ზინოვიევის აზრით დათხოვილ უნდა იქნას სახელმწიფო სათათბირო, უნდა დააპატიმრონ რამდენიმე კონტრ-რევოლიუციონერი, კერენსკი უნდა გამოიცვალოს, მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს, მოხდეს კონფისკაცია სტამბებისა, ქაღალდებისა და ბურჟუაზიულ გაზეთებისა. დათხოვილ იქმნან ჩინოვნიკები. ასეთნაირ მოთხოვნილებებს მრავალი ბოლშევიკი აცხადებდა.

**თავრიდის სასახლის აღებას ლამობდენ.**

მოვიდა ცნობა, რომ თავრიდის სასახლის ასაღებად ტყვიისმფრქვეველი და გრენადერთა პოლკები მოდიანო. თავმჯდომარე კრებას დაშლას მოუწოდებს. ბოლშევიკები თანხმობას აცხადებენ და ხელახლად თხოულობენ, რომ ძალა საბჭოების ხელში გადავიდეს.

**25 წევრიანი კომისია.**

ტროიცკი სასურველად სცნობს 25 წევრიან კომისიის არჩევას, კომისია შეუწყვეტლივ იმუშავებს და რევოლიუციონერი ხალხის ნებას აასრულებს, მენშევიკები, ს.-რევოლიუციონერები და ინტერნაციონალისტები აცხადებენ, რომ ისინი კენჭს არ უყრიან ფრაქციის მიერ წამოყენებულ რეზოლიუციას. ამის შემდეგ ამათ დარბაზი დასტოვეს. დარჩენილმა ბოლშევიკებმა კი ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია: არჩეულ იქმნას 25 წევრიანი კომისია. ამის შემდეგ 4 მკათათვის სხდომა შესწყდა.

**პეტროგრადი. მკათათვის 4.**

მკათათვის 4-ს პეტროგრადის ქუჩაზე დიდი აღელვება იყო. იქა-აქ ტყვიისმფრქვეველების და თოფის სროლა ისმოდა. სისხლი უმთავრესად ნევის პროსპექტის და მის ახლო-მახლო მდებარე ქუჩებზე დაიღვარა. ამ ადგილებში მრავალი მოჰკლეს და დასჭრეს. მანიფესტანტები ამტკიცებენ, რომ მათ ფანჯარებიდან ესროდნენ და რომ ისინიც იძულებული იყვნენ სროლაზე სროლითვე ეპასუხათ. დილით კრონშტადტის მეზღვაურებმა ნევის და ლიტეინის მხარეებში ჩხრეკა-დაპატიმრება მოახდინეს. საღამოს 7 საათზე ყველაფერი დაწყნარდა. არწმუნებიან, რომ კრონშტადტელები კრონშტადტში დაბრუნდნენ.

**გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ სტამბას ხელში ჩაგდება.**

ღამის 10 საათზე თავრიდის სასახლეში ცნობა მოვიდა, რომ გაზეთ „ნოვოე ვრემიას სტამბა ანარქისტებმა ხელში ჩაიგდესო.

**გარნიზონის უფროსის განცხადება.**

პეტროგრადის გარნიზონის უფროსმა თავრიდის სასახლეში ცნობა გამოჰგზავნა, რომ პეტროგრადის ჯარების კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა, მხარი დაუჭიროს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტსაო.

**ჯარების შეიარაღებული დემონსტრაცია.**

მინისტრთა თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გუბერნიის კომისარებს:—მკათათვის 4—დილას პეტროგრადში შემოვიდნენ მეზღვაურები და ჯარის კაცები კრონშტადტიდან ორანიენბაუმიდან ტყვიისმფრქვეველი 1-ლი პოლკი და პეტერგოფიდან მე-9 სათანადო პოლკი. დღის 12 საათზე ამ პოლკებს შეუერთდენ მე-176-ე სათანადო და გრენადერთა პოლკები და ეს შეერთებული ჯარი თავრიდის სასახლისკენ წამოვიდა, აქ საბჭოების აღმ. კომიტეტის სხდომა იყო. დემონსტრანტების პლაკატებზე შემდეგი ლოზუნგები ეწერა: „ძირს დროებითი მთავრობა“, „ძირს ათი მინისტრი კაპიტალისტი“, „მთელი ძალა საბჭოებსაო“ და სხვა. გზაზე მათ უერთდებოდენ შეიარაღებული მუშები. მთელ ქალაქში ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებულ ავტომობილებით დაიარებოდნენ და ყველას შიშის ზარს სცემდენ. დღის განმავლობაში ქალაქში მრავალი მოჰკლეს და დასჭრეს. საღამოს 10 საათზე შეიარაღებული მანიფესტანტები თავრიდის სასახლეს მიუახლოვდნენ.

**წერეთლის დაპატიმრებას სცდილობდნენ.**

შეიარაღებულმა ბრბომ მინისტრ წერეთლის დაპატიმრება მოიწადინა. ამის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა მინისტრი ჩერნოვი, მაგრამ ტროიცკის სიტყვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

**თავრიდის სასახლის ალყა.**

ამ დროს თავრიდის სასახლე ალყა შემორტყმული აღმოჩნდა შეიარაღებულ მანიფესტანტების მიერ. ბევრი თავრიდის სასახლეშიაც შეიჭრა.

**დროებითი მთავრობა მთავარ შტაბში იმალება.**

მთელი დღის განმავლობაში მინისტრთა თავმჯდომარე და დროებითი მთავრობის სხვა წევრები მთავარსარდლის შტაბში იმალებოდნენ და თან შესაფერ ზომების მიღების გეგმას ადგენდენ.

**დროებითი მთავრობის ზომები**

დროებითმა მთავრობამ პავლოვსკში ცხენოსანთა გვარდიის 1, 2, 41 დონის ყაზახების, იზმაილოვის და სემენოვის პოლკებს შველა სთხოვა.

**ჯარის მოსვლა**

დაბარებულნი საჩქაროდ მოვიდნენ დანიშნულ ადგილას და მოქმედებას შეუდგნენ. მაგრამ ამ დროის ცნობა მოვიდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა აღმ. კომიტეტის მდგომარეობა მეტისმეტად საშიშიაო, ვინაიდან მისი სადგომი თავრიდის სასახლეში გარშემორტყმული იყო აჯანყებულების მიერ. ამიტომ მოსულ ჯარების ნაწილი აღმ. კომიტეტის დასახსნელად გაიგზავნა.

**ბრძოლა ყაზახებთან**

„ტროიცკის“ ციხიდან სადაც არტილერია იყო მოწყობილი, ყაზახებს ტყვიის მფრქვევლების და თოფების სროლა აუტეხეს. ყაზახთა შორის ამის გამო დიდი დანაკლისია. ამის შემდეგ ყაზახებმა არტილერიის სროლით გაიკაფეს გზა თავრიდის სასახლისკენ და ბრბო გაჰფანტეს. აგრეთვე დიდი სროლა იყო ლიტეინის და ერტელევის უბნებში.

**ბრბო კონტრ-მზვერავთა ბიუროს ხელში ჩაგდებას ლამობდა**

ჯარის მოსვლამდე შეიარაღებული ბრბო კონტრ-მზვერავთა ბიუროს ხელში ჩაგდებას ლამობდა, მაგრამ სწრაფი ზომების წყალობით ეს მათ ვერ მოახერხეს.

**აჯანყების ჩაქრობა**

შუა ღამისას უკვე აჯანყება ჩაქრობილი იყო. სადაც კი ნახავდნენ შეიარაღებულ ავტომობილებს, დაუყოვნებლივ ართმევდნენ იარაღს. წინააღმდეგობა მალე იქმნა ჩაქრობილი. აჯანყების გამეორების წინააღმდეგ სათანადო ზომებია მიღებული.

**ჩხრეკა-დაპატიმრება**

ამ ჟამად ჩხრეკა-დაპატიმრება ხდება. დღეს დილით მდინარე ნევაზე ხიდები აჰყარეს. ქუჩებზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა.

**შეიარაღებულ დემონსტრაციების აკრძალვა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. გუშინდელსა და წუხანდელ ჯარის ნაწილების ქუჩებში გამოსვლას რამდენიმე მსხვერპლნი მოჰყვნენ. ამის გამო დროებით მთავრობამ ყოველივე შეიარაღებული დემონსტრაციები აკრძალა.

**საალყო წესები პეტროგრადში**

პეტროგრადის საოლქო ჯარების უფროსი აცხადებს: ვასრულებ რა დროებით მთავრობის ბრძანებას, რომ პეტროგრადი გაიწმინდოს შეიარაღებულ პირებისაგან, რომელნიც არ ინდობენ არც ქონების, არც პიროვნების და არც მოქალაქის ხელუხლებლობას, რომელნიც არღვევენ წესიერებას, მოვუწოდებ ყველა მოქალაქეთ დაკეტონ კარებები და მხოლოდ აუცილებელი საქმისთვის გამოვიდნენ კარში. აგრეთვე მცხოვრებლებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ, რომ ბოროტ-გამზრახველები შინა სადგომებში არ შემოცვივდნენ. ჯარის ნაწილებს ვუბრძანებ ახლავე შეუდგენ წესიერების აღდგენას ქუჩებზე.

ხელს აწერს გენ.-მ. პოლოვცოვი.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგუბერნიო კომისრებს დეპეშით შემდეგი განცხადებები დაუგზავნა: „საარტილერიო ჯარი, ყაზახები და ქვეითა ჯარი უწესოების შესაჩერებლად და დამნაშავეთა შესაპყრობად მეტად ენერგიულად მოქმედობდნენ. პირნათლად ასრულებდნენ მთავრობისა და მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს შეთანხმებულ ბრძანებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო გთხოვთ ყველას დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რომ ადგილობრივ რევოლუციის ჩირქის მომცხები მოქმედებანი არ მოხდეს“.

სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოების მოწოდებებში ნათქვამია: „ასეთი საქციელი ღალატია იმ რევოლუციონურ ჯარის წინაშე, რომელიც ფრონტზე რევოლუციით მოპოებულ თავისუფლებას იცავს. ის ვინც ასეთ შინაგან არეულობის ცეცხლს აჩითებს ვილჰელმთან მებრძოლ ჯარს ზურგში მახვილსა სცემს“. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოითხოვს კომისრებისაგან, რომ მათ ყველა მომხდარი ხალხს შეატყობინონ და ამასთან თავ-თავიანთ გუბერნიის განწყობილება რაც შეიძლება მალე აცნობონ სამინისტროს.

**პეტროგრადის ამბების გამოძახილი**

**მოსკოვი** მკათათვის 4. პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო მ. და ჯ.-ქ. დეპ. საბჭომ მსჯელობა იქონია. ბოლშევიკები მოსკოვში შეიარაღებულ დემონსტრაციის გამართვას მოითხოვდნენ. სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები წინააღუდგნენ ბოლშევიკების ასეთს მოწოდებას, რადგან მათის სიტყვით, პეტროგრადის დემონსტრაციაში ბნელი ძალებიც მონაწილეობდნენ. დასასრულ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ყოველივე გამოსვლა ქუჩაში, დეპუტატთა საბჭოს განკარგულებამდის აიკრძალა. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ დეპუტატთა საბჭო მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას ჰკრძალავსო და დარბაზი დასტოვეს.

**მინსკი.** მკათათვის 4. ბოლშევიკების კრებაზე ყაზახთა ორმა ოფიცერმა პაზერნის მოხსენების შესახებ ზიზღი გამოთქვა. ბოლშევიკებმა ოფიცრებს ცემა დაუწყეს და პაგონები ჩამოაგლიჯეს. ხმალ ამოწვდილი ოფიცრები ქუჩაში გაცვივდნენ, უკან ბოლშევიკები გაედევნენ. ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ოფიცრებმა ჯარისკაცი მოჰკლესო. ხალხს თავის სამართლით ჰსურდა გაესწორებოდა ოფიცრებს, მაგრამ საფრონტო კომიტეტის წევრებმა ოფიცრები კომისარიატში წაიყვანეს.

# რუსეთი და უცხოეთი

**შავი ჭირი**

**ურალსკი.** თიბათვის 24. (დაგვიანებულია). ყირგიზელებში შავი ჭირის ნიშნებით ავადმყოფები აღმოაჩინეს. მიღებულია ენერგიული ზომები, რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს.

**ბოროტ-გამზრახველები.**

**ნოვოჩერკასკი.** მკათათვის 3. ზვერევოს სადგურზე [illegible] წყალსადენზედ, 8 ბოროტ-გამზრახველებმა [illegible] დაახრჩვეს მემანქანე, მისი ოჯახობა და 3 სტუმარი—სულ 9 ადამიანი. გადარჩა მხოლოდ ერთი ბავშვი, რომელმაც შეატყობინა ქალაქს ეს სისხლიანი დრამა. მკვლელები ვერ იპოვნეს.

**გლეხთა თავ-ნებობა.**

**ტაგანროგი.** მკათათვის 4. სოფ. ხრუსტალსკის გლეხებმა ხელთ იგდეს აკოიტინსკის 240 დესეტინიანი მამული. მის ტყეებში უკვე შეუდგნენ ჩეხვას.

**სეტყვა პოლტავის გუბერნიაში.**

**პოლტავა.** მკათათვის 4. გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეებიდან იტყობინებიან, რომ კვერცხის ოდენა სეტყვამ დიდად დააზარალა მოსავალი და ნათესობაო.

**ცეცხლი ქრისტიანიაში.**

**ქრისტიანია.** მკათათვის 3. ტრონდეს ნავთსადგურთან დიდი ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ტამოჟნა, რკინის გზის დუქნები, გემები ნავთით და სხვა და სხვა სავაჭრო საწყობები. ცეცხლი სხვა გემებსაც ემუქრება.

**ინგლისის სამეფო ოჯახობის გვარის შეცვლა.**

**ლონდონი.** მკათათვის 4. საიდუმლო საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ინგლისის სამეფო ოჯახობამ მიიღო ახალი გვარი—ვინძორი. ინგლისის სამეფო სახლის გვარის შეცვლა საიდუმლო საბჭომ ერთხმად მიიღო.

**ჩინეთის რევოლუცია.**

**პეკინი.** თიბათვის 30 (დაგვიანებულია). დილის 4 საათზე რესპუბლიკურ ჯარმა საიმპერატორო ქალაქის ცის ტაძარში შეფარებულ ჯანსიუნის ჯარზე იერიში მიიტანა. თოფების, ტყვიისმტყორცნელებისა და მძიმე ზარბაზნების სროლა მხოლოდ დღის 2 საათზე შესწყდა. ტაძარი ვერ აიღეს. გენერალი ჯანსიუნი ჰოლანდიელების კომისიაში მიიმალა. მის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. არის მცხოვრებთა მსხვერპლი. ჯანსიუნის ჯარის დანებების პირობებზე მოლაპარაკება სწარმოებს.

**გაფიცვები ლისსაბონში.**

**ლისსაბონი.** მკათათვის 4. ამ უკანასკნელ დროს გაფიცვები გახშირდა. მთავრობამ წესრიგის დასაცველად შესაფერი ზომები მიიღო. ეხლა აქ სრული სიმშვიდეა.

**ამბოხების ჩაქრობა ლისსაბონში.**

**ლისსაბონი.** მკათათვის 4. ქალაქში დიდი ამბოხების შემდეგ, სრული სიწყნარე ჩამოვარდა. ტრამვაი მოძრაობს.

**გერმანეთის ელჩის გადადგომა ქრისტიანიაში.**

**სტოკჰოლმი.** „რაიხსანცეიგერის“ ცნობით, გერმანეთის ელჩი ქრისტიანიაში თანამდებობიდან გადადგა და სამშობლოში გაიწვიეს.

# საქართველოს ავტონომია*)

(გაგრძელება)

6) **განხილვა ყოველწლიურ შემოსავალ-გასავლისა და დამტკიცება საავტონომიო ხარჯთ-აღრიცხვისა.** ავტონომიას. რასაკვირველია, როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულს, ექნება თავისი ქონება და თავისი ხარჯი. საავტონომიო ქონებას შეადგენენ ყველა სახაზინო და საუფლისწულო მამულები, რომლებიც კი მოიპოვება საქართველოს ტერიტორიაზე, ყველა სახლები, შენობანი, სადგურები, რკინის გზები, ნავთსადგურები და სხვა, რაც ეხლა ეკუთვნის საიმპერიო ხაზინას. აგრეთვე ყოველი შემოსავალი ამ მამულებიდან, ყოველნაირი გადასახადი პირდაპირი და არა-პირდაპირი, რაც კი მოიკრიფება საქართველოში, სულ ეს შეადგენს საავტონომიო ხაზინის საკუთრებას და ჩვენ, ჩვენმა ხალხმა, თვალყური უნდა ადევნოს ამ ქონებას, მის შემოსავალ-გასავალს, მისი რიგიანად მოხმარებას საქართველოს საკეთილდღეოდ. სულ ეს ქონება სიმართლით და სინდისით ეკუთვნის საქართველოს, მიწა-წყალი, ადგილ-მამული, სამთამადნო სიმდიდრე, ზღვის ნაპირები რუსეთს კი არ მოუტანია ჩვენში, არა, სულ ეს—ჩვენია, სულ ეს—ქვეყნის გაჩენიდან—ეკუთვნოდა საქართველოს და უნდა ეკუთვნოდეს მას. სულ ამ სიმდიდრეს უნდა გაძღოლა, წარმოება, მოწესრიგება.

*) მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.

გასავალიც, რა თქმა უნდა, დიდია. ჩვენ უნდა გადავიხადოთ ის ბეგარა, რომელიც დაგვედება რუსეთის ხაზინის წინაშე საერთო საქმეების საწარმოებლად, უნდა მოვაწყოთ და შევინახოთ ჩვენი ჯარი, ადმინისტრაცია, პოლიცია, სხვა და სხვა დაწესებულებანი, უნდა მოვაწყოთ და გავაფართოვოთ ყოველნაირი შრომა, გავჭრათ მთები, გავიყვანოთ რკინის გზები, მივცეთ მეურნეობას და მრეწველობას ახალი იარაღი შრომისა და მოქმედებისა, მოვაწყოთ ნავთსადგურები, განვავითაროთ ზღვაოსნობა და სხვა და სხვა. სულ ამისთვის უნდა გავწიოთ დიდი ხარჯი. მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა ყოველ-წლიური ხარჯთ-აღრიცხვა, მისი განხილვა, აწონ-დაწონვა და დამტკიცება. ესეც შეადგენს საქართველოს ეროვნულ კრების უფლებას.

7) თავისთავად იგულისხმება, რომ კრებას, როგორც მთელი ერის წარმომადგენლობას, სრული ნება აქვს თვალყური ადევნოს აღმასრულებელ ძალთა მოქმედებას, გადააყენოს სამსახურიდან უვარგისი მოხელე, მისცეს იგი პასუხისგებაში და საზოგადოდ ყოველთვის მოსთხოვოს მთავრობას ანგარიში და განმარტება შესახებ მისი მოქმედებისა.

ეს არის მხოლოდ უმთავრესი მომენტები საქართველოს ეროვნულ კრების უფლება-მოსილებისა, მარა ამ ჩამოთვლილ მაგალითებით არ ამოიწურება ყოველი ის საქმე და საგანი, რომლის განხილვა და მოწესრიგება ექვემდებარება მას. ქვეყანა და ცხოვრება მრავალფეროვანი, საურთიერთო განწყობილება უფრო მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ავტონომიის უფლებანი, უნდა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს ერთი ზოგადი დებულება. საავტონომიო კანონმდებლობის უფლებაში შედის ყოველი საქმე, ყოველი საგანი, გარდა შემდეგი სამი გამონაკლისისა:—გარდა საგარეო პოლიტიკისა, ომის და ზავის საკითხისა და საერთო ბიუჯეტისა.

**რუსეთის უფლებანი**

საგარეო პოლიტიკა, ომის და ზავის საკითხი და საერთო ბიუჯეტი სრულებით შედის საიმპერიო კანონმდებლობის ფარგლებში.

ვინაიდან საქართველო შეადგენს რუსეთის ერთ ნაწილს, საერთაშორისო განწყობილებაში სრული წარმომადგენლობა უნდა ეკუთვნოდეს რუსეთს. საერთო პოლიტიკა, მისი მიმართულება და სხვა და სხვა საერთო შეთანხმება, დადებული რუსეთის მიერ, რა თქმა უნდა სავალდებულოა საქართველოსთვის. მარა ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სრულებით არა ჰქონდეს უფლება საგარეო მოქმედებისა, თავის ეკონომიურ ცხოვრების მოსაწყობად, ისეთი უფლება, რომელიც ყოველ პიროვნებას და ორგანიზაციას აქვს, ავტონომიასაც უნდა ეკუთვნოდეს. ყველას აქვს ნება, მაგალითად, შეკრას პირობა უცხოელ ვაჭართან ან მრეწველთან შესახებ ამა თუ იმ ნაწარმოების გაზიდვის და შემოზიდვისა. ავტონომიასაც უნდა ჰქონდეს ამისთანა უფლება ვაჭრობის და აღებ-მიცემობის სფეროში. ამისთანა ეკონომიური განწყობილება ხელს არ აშლის საიმპერიო პოლიტიკას. ამისთანა უფლება აქვს ფინეთს და თითქმის ყველა ინგლისის კოლონიებს. მაგალითად, კანადა 1907 წელს შეეკრა პირობით ჩრდილო ამერიკას შესახებ სადამოქნო ბაქებისა, 1908 წ.—შესახებ თევზაობისა მომიჯნავე წყლებში, იმავე წელს—შესახებ დამნაშავეთა გაცემისა; 1907 წ. შეთანხმება მოახდინა იაპონიასთან შესახებ იაპონელთა ემიგრაციისა კანადაში და სხვა.

აქედან სჩანს, რომ ზოგიერთ საქმეებში ავტონომიის შევიწროება არ არის ხელსაყრელი არც იმპერიისთვისა.

რაც შეეხება ომის და ზავის საკითხს, ამას ახსნა არ უნდა, როგორც მოგახსენეთ, ის უნდა იყოს სრულებით რუსეთის ხელში.

ახსნას თხოულობს საერთო ბიუჯეტი. იგი შეეხება საერთო საჭიროებას. ასეთი არის ის ხარჯი, რომელიც უნდა გასწიოს სახელმწიფომ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში, სახელმწიფოს საზღვრების დაცვაში და საერთო მთავრობის და დაწესებულებების შენახვაში. დაწვრილებით გათვალისწინება აქ ამ საკითხისა მეტად ძნელია, ეს უნდა გახდეს საგანი კერძო შესწავლის და განხილვისა ამ საერთო ბიუჯეტიდან საქართველოს მოუწევს ერთი წილი, რომლის რაოდენობა, ჩვენის აზრით, განსაზღვრულ უნდა იქმნას ხალხის რაოდენობის პროპორციით. თუ საქართველოს ხალხი ვთქვათ, წარმოადგენს 2 პროც. მთელი სახელმწიფოს ხალხისას, მაშინ 2 პროც. საერთო ბიუჯეტისა უნდა შეიტანოს საქართველომაც.

ასეთი მოსაზრება წარმოადგინა ამ კითხვის გადასაწყვეტად პოლონელთა კოლომ ამ ათი წლის წინეთ სახელმწიფო სათათბიროში; ასეთივე აზრი იყო დაკანონებული კროაციის და უნგრეთის შორის 1887—1897 წლებში. მე მგონია, ჩვენთვისაც ეს აზრი შეიძლება მისაღები იყოს.

**გიორგი გვაზავა**

# პეტროგრადში
## (პეტროგრადის საკუთარ კორესპონდენტისაგან)

### საალყო წესები.

პეტროგრადში საალყო წესები გამოცხადდა. ღამე ქუჩაში გასვლა აღკრძალულია. წესიერების აღდგენა მინდობილი აქვს ღენერალ პოლოვცეს, რომელსაც უფლება აქვს მინიჭებული თუ საჭირო იქნება უსასტიკესი ზომები მიიღოს.

### ლენინის კაბინეთი

ბოლშევიკებს განუწყვეტელი კრებები აქვთ ქშესინსკის სასახლეში. სხდომებს თავმჯდომარეობს ლენინი. სასახლის წინ აუარებელი ხალხი ირევა და მრავალი ხმები ვრცელდება. ამბობენ ბოლშევიკების ცენტრალმა კომიტეტმა უკვე შეადგინა ახალი სია კაბინეთისა, რომელშიაც ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი შევლენ.

### სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამი კაცისაგან შესდგება სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც ფართო უფლებანი მიენიჭება. კომიტეტში შევლენ: წერეთელი, კერენსკი და ნეკრასოვი.

### მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში შეუწყვეტლად თათბირობს პრეზიდიუმი. საერთო სხდომაზედ წერეთელმა განაცხადა: მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უწინააღმდეგოდ შეუძლია ხელთ იგდოს სრული ძალა-უფლება, მაგრამ ეს იქნება სამსახური კონტრ-რევოლუციისადმი. საბჭოს დამცველი ჯარი გარს არტყავს და სხდომები ნერვიულ განწყობილებაში ხწარმოებს.

### „ბოლშევიკები“ და კრონშტანდტელი მატროსები მოქალაქეთ ატუსაღებენ.

ქუჩებში „ბოლშევიკები“ მოქალაქეთ აჩერებენ და მათთვის საეჭვო პირთ ატუსაღებენ. მათ მიერ დატუსაღებულთა რიცხვი უკვე 300 აღემატა. აგრეთვე კრონშტატის მატროსები კერძო ბინებს ჩხრეკენ.

### ფინლიანდია მოწყვეტილია რუსეთს.

ფინლანდიის სადგური ჯერ კიდევ აჯანყებულ ჯარის ხელშია და ყოველი მიმოსვლა ფინლანდიასთან შეწყვეტილია.

### „ბოლშევიკები“ ტელეგრაფის ხელში ჩაგდებას ლამობენ.

ტელეგრაფის შენობასთან დიდი მიტინგები იმართება. „ბოლშევიკების“ მომხრე ტელეგრაფის მოსამსახურეებმა გუშინ დიდი მიტინგი გამართეს, მაგრამ მალე იძულებულნი იქმნენ დაშლილიყვნენ. აგრეთვე გუშინ ღამით „ბოლშევიკების“ ჯგუფმა მთელი ტელეგრაფის ხელში ჩაგდება მოიწადინეს, მაგრამ ისინი დატუსაღებულ იქმნენ.

### ირაკლი წერეთელი.

მინისტრი წერეთელი დღე და ღამ დაუსვენებლად მუშაობს. იგი მონაწილეობას იღებს ყველა თათბირში. ხშირად ხალხის მოთხოვნილებით სხდომებიდან გამოდის და ხალხს სიტყვებით მიმართავს და მოუწოდებს დამშვიდებისკენ რევოლუციისა და რუსეთის დაღუპვისაგან დახსნის სახელით. ხალხი და ჯარი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს მას.

### მთავარ შტაბს ესვრიან.

მთავარ შტაბის შენობას ყუმბარა ესროლეს. თოფის სროლაც სწარმოებდა რაოდენიმე ხანს. დაჭრილია მხოლოდ რამდენიმე კაცი.

### დაწყნარება იწყება.

უკანასკნელ ხანს პეტროგრადი თანდათან მშვიდდება. უკანასკნელ ცნობებით ჯარის მრავალი ნაწილი დროებით მთავრობას მიემხრო.

---

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ,** 5 მკათათვეს შეერთებული კრება ჰქონდათ: ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარის კაცთა სათათბირო საბჭოების, თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების და აგრეთვე ყველა რევოლუციონური პარტიების წარმომადგენლებს. კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: რათა არ დაიქსაქსოს რევოლუციის ძალები, კრება აუცილებელ საჭიროთ სცნობს თბილისში არ მოხდეს ცენტრალურ რევოლუციონურ ორგანიზაციების დაუკითხავად კერძო გამოსვლები, როგორც დარაზმული, ისე დაურაზმავი, და ამ მიზნისთვის მოუწოდებს ყველას მშვიდობიანობისკენ. კრებაზე არჩეული იქმნა ამ მიზნისთვის ბიურო.

◆ **პეტროგრადში მომხდარ ამბების შესახებ** დღეს, მკათათვის 7-ს სახალხო სახლში საღამოს 7 საათზე მოხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება.

◆ **ქალაქის სახურსათო კომიტეტმა** გადასწყვიტა ამ ახლო ხანში თბილისში შემოღებული იქნას პურის ყიდვა ბარათების წესით.

◆ **პეტროგრადის ამბების გამოძახილი.** „კავკ. რაბოჩ“-მა გუშინ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცნო! პეტროგრადში დიდი ამბავი ხდება! მთავრობა მ. და ჯ—კ. დეპუტატთა საბჭოების ხელში გადადის. პეტროგრადის რევოლუციონერი პროლეტარიატი და მისი რევოლუციური ლაშქარი იცავენ მ. და ჯ—კ. დეპუტატების ცენტრალ კომიტეტს. ახლა რუსეთის რევოლუციის დღესასწაულის ბრწყინვალე წამია! გაუმარჯოს მ. და ჯ—კ. დეპ. საბჭოს მთავრობას. გაუმარჯოს რევოლუციონურ ლაშქარს და პროლეტარიატს. მკათათვის 6-ს, საღამოს 7 საათზე მოხდება მე-3-ე რაიონის სასწრაფო სხდომა რ. ს.-დ. რ. პარტიისა (მეუმრავლესეთა) ავლაბარ-ნავთლუღ-ორთაჭალაში დაბინავებულ ჯარის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ყრილობა შესდგება ავლაბრის კლუბში. ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

◆ **მეეზოვეთა კრება.** მკათათვის 5-ს მოხდა თბილისის მეეზოვეთა კრება. დაადგინეს, რომ შაბათს, მკათათვის 8-ს გაიფიცნენ, რადგან მათი მოთხოვნილებისა მხოლოდ 75% დააკმაყოფილეს.

◆ **კლუბის მამასახლისთა კრება.** მკათათვის 5-ს მოხდა კლუბის მამასახლისთა კრება, კლუბის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო. დაადგინეს გაფიცვის საქმე საბოლოოდ გადასწყვიტოს მომრიგებელმა კამერამ.

◆ **სავაჭრო-სამრეწველოს მოსამსახურეთა გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე.** რადგანაც ქვემო აღნიშნულ ფირმებში მოსამსახურეებმა—ნოქრებმა წარუდგინეს მოთხოვნილება და პატრონებს არ სურთ დააკმაყოფილონ ნოქრების სამართლიანი მოთხოვნილებანი, ამისთვის თბილისის ნოქართა კავშირის ხელმძღვანელობით გამოცხადებულია გაფიცვები ბოსტანჯიანცის საბაკალეინო მაღაზიაში, დანდუროვის—ჭურჭლის მაღაზიაში, აბელოვის—რკინის მაღაზიაში, ჩილინგაროვის საგალანტერიო მაღაზიაში, პაპოვის—საბაკალეინო მაღაზიაში, როტინოვის სამანუფაქტურო მაღაზიაში.

## კავკასია

◆ **ბრბოს სამართალი.** დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ დეზერტირ მცარცველები მიუხედავათ წინააღმდეგობისა შესცვივდნენ მილიციის სადგომში და ორი მოკლეს, მესამემ გაქცევით თავს უშველა.

◆ **ჯარისკაცთა გაავეთება.** ხუთშაბათს, თიბათვის 29-ს, საღამოთი რვის ნახევარზე სარიყამიშის რკინის გზის სადგურზე გულშემზარავი ამბავი მოხდა. ამავე სადგურის გამგე ბურჯანაძე ექიმ ბელოვის თანადასწრებით ჯარისკაცების სახელზე გამოგზავნილ ამანათებს ჩვეულებრივ ხსნიდა რათა ცხვა და სხვა გაფუჭებული საგნები შეემოწმებინა. ამ დროს, შესულა ერთი ჯარისკაცი და უკითხავს ბურჯანაძესთვის ვისია ეს ამანათებიო. ბურჯანაძეს უპასუხნია ჯარისკაცებისაო. ამ პასუხის შემდეგ ჯარისკაცი გარედ გასულა შეუგროვებია ჯარისკაცთა ბრბო და საწყობს შესევია. დაუწყვიათ ბურჯანაძესთვის ცემა, გამოუგდიათ კარში, წაუგდიათ ფეხქვეშ და წაღების ქუსლებით თავპირი დაუმტვრევიათ. ბურჯანაძე თავის საშველად ხელიდან გაჰსხლტომია, გამოსდგომიან და ხელმეორეთ დაუჭერიათ. ზოგს წალდა გაუხდია და ქუსლებით ცემა დაუწყვია თავში; ზოგზს ქვები დაურტყავს და მოუკლავთ, მკვდარი სანაგვე ყუთში ჩაუგდიათ. ცხვათა შორის „ზემგორის“ სატყეო განყოფილების მოხელე ჩაიდუა ცდილა ზნეობრივი გავლენა მოეხდინა გაალმასებულ ბრბოზე და ამნაირად ბურჯანაძე გადაერჩინა, მაგრამ თვითონაც მძიმედ ნაცემი აღმოჩნდა. მეორე დღესვე გაიმართა მიტინგი ამის შესახებ. მიტინგმა საპროტესტო რეზოლიუცი მიიღო.

◆ **კომისართა ჯამაგირები.** იმ კომისრებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ არიან დანიშნულები სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებებში ჯამაგირად თვეში 450 მან. დაენიშნოთ. ეს ჯამაგირი მიეცემათ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან.

◆ **სატუსაღოებში მსახურთა კავშირი.** თბილისის სატუსაღოების მსახურთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება დაუგზავნა კავკასიის სატუსაღოთა მოსამსახურეებს. კომიტეტი მოუწოდებს სატუსაღოთა მოსამსახურეებს კავკასიის კავშირის შესაკრავად.

◆ **ამიერ-კავკასიის ბანკი** ივლისს 2 გაიხსნა, ბანკი მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე სათავადაზნაურო ბანკის ახალ შენობაში მეორე სართულზე. მოქმედება დაიწყო ბანკმა 3 ივლისიდან. ძირითადი თანხა 3 მილიონი მან. აქვს. გამგეობის თავმჯდომარეა ი. მ. ლორთქიფანიძე, წევრნი რ. ყ. დათეშიძე, დ. ვ. ქუთათელაძე. საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ხოშტარია, მისი მოადგილე პ. ვ. კიზირია.

## საქართველო

◆ **ამიერ-კავკასიის** მევენახეთა და მეღვინეთა სათათბირო საბჭოს კახეთიდან ატყობინებენ, რომ იქ დაარსდა მევენახეთა და მეღვინეთა ბიურო. ბიუროში არიან ა. ვახვახიშვილი, ა. განგიაშვილი, კ. ნაკაშიძე და გ. ციციანოვი. ბიუროს მიზანია გასწიოს სოფლებში პროპაგანდა მევენახე და მეღვინეთა კავშირის შესაქმნელად და დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ. დამფუძნებელი კრება გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნას მკათათვის 30-ს გურჯაანში. სარაიონო ადგილებათ მიჩნეულია მაზრები: სიღნაღის, თელავის, თიონეთის, თბილისის და სხვ.

◆ **საქართველოს საკითხი.** ფრანგულ გაზეთ „ლა ტრანშეში“ მაისის 31-ს № ში დაბეჭდილა ვრცელი წერილი ნიკოლოოზ ჯანაშიასი საქართველოს შესახებ.

◆ **საქველმოქმედო საღამო.** ალაგირში ქართულ უფასო სამკითხველოს და სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება სცენის მოყვარეთა მიერ კვირას მკათათვის 9 და მარიამობისთვის 6 „ბედმა მიღალატა“, „უმარილის ბრალია“ და „მსხვერპლი“. იქნება ცოცხალი სურათები საქართველოს ცხოვრებიდან, ქართული ხორო იმღერებს ქართულ საერო სიმღერებს, ბოლოს გაიმართება ევროპიული და ქართული ცეკვა-თამაში:

## პროვინცია.

◆ **უბედური შემთხვევა.** თელავის საპრაპორშჩიკო სკოლის მოსწავლეთ, როდესაც ზარბაზნის სროლაში ვარჯიშობდნენ, უცაბედად ყუმბარა გასცდათ და ორი იუნკერი დაიჭრა.

◆ **უპურობა თელავში.** აქ სრულიად გამოილია ფქვილები და თუ დროზე არ გაჩნდა საიდანმე იგი, სიმშილობაა მოსალოდნელი.

◆ **წარმოდგენა სოფლად.** ს. ბაკურციხეში მკათათვის 16-ს გაიმართება წარმოდგენა. ითამაშებენ 1) ალ. დოდეს ერთ მოქმედებიან დრამას „უფროსი ძმა“, 2) სუნდუკიანცის კომედია „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“ და 3) დ. კლდიაშვილის ვოდევილს „დარისპანის გასაჭირი“.

---

# ნუ ვივიანებთ

ამ დღეებში ტელეგრამა მოვიდა რიგის ქალაქიდან, რომ უკრაინელებმა, ლატიშებმა, ლიტველებმა და სხვა. არა რუსთა ერებმა შეკრეს კავშირი, რომ საერთო ღონისძიებით იზრუნონ თავიანთ პოლიტიკურ ტერიტორიალურ ავტონომიის მოსაპოვებლად.

როგორც ყველა საწინაო საქმეში, ისე ამ კავშირშიაც დღემდის არ ვურევივართ ჩვენ, ქართველები.

რატომ?

იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი 117 წელიწადი სხვებისაგან გადალულნი ვართ, ე. ი. მათის ფსიხოზის გავლენას ვექვემდებარებით; რომ მას აქეთ გვესმის არა სამშობლო ქვეყნისა, არა ჩვენი ნატანჯი ცხოვრების მოთხოვნილებისა, არამედ მტერ მოყვრების ჩურჩულით კარნახისა.

ვერ ვარჩევთ მტერს მოყვრისაგან და ვიქცევით მისდა გუნებისად, მისდა გასახარებლად.

აი ამიტომ არ ვურევივართ დღეს არა რუსთა ერების კავშირში, სადაც ვურევივართ დღეს, იქაც იმიტომ, რომ იქ სხვებმა მიგვიწვიეს, როგორც მათთვის სანდონი, საკუთარს სახიერებას დაკარგულნი. ისინი გვენდობიან კიდევ იმიტომ, რომ კარგად იციან, რომ ქართველები ყოველთვის სხვების ერთგულნი უფრო ვიყავით, ვიდრე ჩვენი თავის.

ასე იყო დღემდის, და ასეა დღესაც. ხოლო ნუ იქნება ასე დღეის შემდეგ მაინც.

მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ნების ყოფა, მთელი ჩვენი ეროვნული ძალღონე და ჩვენთვის ჩვენ თვითონ ვიზრუნოთ.

ნუ ვიქნებით იმის ფიქრში თუ სხვანი რას იტყვიან. ვიფიქროთ და ვიზრუნოთ იმაზე, თუ ჩვენ რა გვარგებს.

ნუ მოვიქცევით ისე, როგორც იამება ჩვენს ავის მდომელს. მოვიქცეთ ისე, როგორც გვაწევს ჩვენი სინდისი და სამშობლოსადმი მოვალეობა.

ეს მოვალეობა კი მოითხოვს ჩვენგან, როგორც სამშობლოს შვილებისაგან.

1) დაუყოვნებლათ შევთანხმდეთ ყველა ქართული პარტიები უმთავრეს საგანში, ე. ი. ავტონომიის მოპოვებაში და მისს მოსაპოვებლათ საერთო ღონის ძიების გამოძებნაში;

2) მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა და შევადგინოთ საერო საბჭო;

3) შევათანხმდეთ ყველა მეზობელ ერების საერო საბჭოებთან, რომ მათთან ერთად წარვუდგინოთ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ავტონომიის მოთხოვნილება.

4) თუ ეს დაუყოვნებლივ არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ, რომ ჯერჯერობით ჩვენებური პარტიები ჩაეწერონ წევრებათ ამ წერილის თავში მოხსენებულ მცირე ერთა კავშირში.

ერთი სიტყვათ—შევერთდეთ შინაობაში და შევუერთდეთ მეზობელ და გარეშე ერებს.

ძალა ერთობაშია.

დრო მომწიფებულია, და თუ ეს ეხლავ არ გამოვიყენეთ, მერე გვიანღა იქნება.

**ილია ჭყონია.**

---

# დაშნაკცაკანები და სოც.-დემოკრატები

სოც.-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“ სწერს:

„დაშნაკცუტუნი“ მეტად ხმაურობს. „მის ბრწყინვალების, ვორონცოვ-დაშკოვის პარტიის“ ლეიბ-ორგანომ დიდი ხმაურობა ასტეხა ალბად იმ მოსაზრებით, რომ მკითხველთ თავიანთი ბნელი წარსული დაავიწყონ და ფერცვლილნი წარსდგნენ მათ წინაშე.

სოციალისტ-მაუზერისტების“ პარტიის გაზეთი „ჰორიზონი“ ალბად ვერ მიხვდა უცხოსიტყვათა მნიშვნელობას (განა მაუზერისტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობის გამოსარკვევათ სცალიათ!) და მკვირალა სიტყვებით „ქართველ სოციალ-დემოკრატებს“ ნაციონალისტობასა და შოვინისტობას უკიჟინებს.

ეჭვს გარეშეა, „ჰორიზონი“ იმიტომ ჰბტის, რომ სოციალ-დემოკრატებმა ზინვორებს თათარ გლეხთა მოავალში ძალდატანებებით შეშინების ნება არ მისცეს. ზინვორებს მეტად ჰკურდით, რომ სომეხ-გლეხებივით თათრების მასსას მათ სტვირზე ეცეკვნა, და როდესაც მათ ეს ვერ მოახერხეს, გაცხარებულებმა, რაკი ეგონათ, რომ მათი გაბოროტება—ეს ხალხის გაცხარებაა დაასკვნეს, რომ სოც.-დემოკრატები ერთა შორის შუღლს სთესვენ, რომ მათ მოაწყეს თათრების გლეხთა სომეხთის წინააღმდეგ გამოსვლა.

„ჰორიზონ“-ელი ზინვორები, რომ ლოღიკის კანონებს ისე ხმარობდნენ როგორც მაუზრებს, მიხვდებოდნენ, რომ სოც.-დემოკრატებსაც შეეძლოთ, იმავ საფუძვლით რომელსაც თვითონ ადგანან, მათთვის ესაყვედურნათ, მათაც შეეძლოთ ეთქვათ, რომ „ბნელ სომხის გლეხების გამოსვლა თათრების წინააღმდეგ დაშნაკცაკანებმა მოაწყეს.

ან იქნებ ჰგონიათ, რომ შეგნებული მხოლოდ მათი მხარის დამჭერია? მაგრამ ზინვორების ლოღიკა ჯერ დიდად არ გასცილებია ბუშმენებისას.

ზინვორების გაზეთი დარწმუნებულია, რომ ყრილობაზე ზნეობრივი გამარჯვება დაშნაკცუტუნს დაჰრჩა. საქმეც იმაშია, რომ ზნეობაში გარჩევა არის. ვის არ ახსოვს 1905 „სომეხ-თათართა“ ხოცვა ჟლეტა? ვინ არ იცის რომ იგი ხოცვა-ჟლეტა უფრო „ზინვორ-თათრებისა“ იყო, ვიდრე სომეხ-თათრებისა? ვინ არ იცის რომ პოლიტიკური პარტია ხოცვა-ჟლეტას არ უნდა ჩაბმულიყო ს-თავეში? მართლა რომ ხოცვა ჟლეტვის ხელმძღვანელ პარტიას თავისებური ზნეობა ექნება!

ან-და კიდევ: ვის არ ახსოვს, რომ სომხების საეკლესიო მიწების ჩამორთმევის ხანაში პარტიამ მთავრობის აგენტების ტერორი განსაკუთრებულ ხელობად გადაიქცია. არავის დავიწყებია აგრეთვე ის, რომ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შემდეგ ყოფილი ტერორისტი-ზინვორები ვორონცოვ-დაშკოვის სასახლის კართა მტვერს ლოკავდნენ; ომის დროს კი სახელმწიფო პატრიოტულ ღრიალით ყურები წაიღეს. მათი ერთგული ქვეშევრდომობა და გულმოდგინეობა ტახტისა და სამშობლოსადმი ხომ ყველასათვის ეჭვს გარეშეა, თვით მთავრობამაც ხომ ყოფილ ტერორისტებს ფაქტიური ამნისტია აღმოუჩინა.

როდესაც ნიკოლოზმა კავკასია თავის ჩამოსვლით „გააბედნიერა“ იგი ხომ საავადმყოფოში წააბრძანეს „რაინდ“—ზინვორების სანახავად. ნიკოლოზიც ხომ ჯვრებით უმშვენებდა მათ მკერდებს. მაგრამ მათი „ზნეობრივი“ შეგნება დაშნაკცუტუნის აზრით ასეთ წინააღმდეგობის ნებასაც აძლევს.

მაგრამ ზნეობაც არის და ზნეობაც!

---

# „სიბრმავე“

„რუსკ. ვოლია“-ს № 14-ში პროფ. ნ. გრედესკულის წერილია „სიბრმავეს“ სათაურით. ამ წერილში პროფესორი ამბობს:

„უკრაინის რადის მიერ „უნივერსალის“ გამოცემამ საჭირო ჰქმნა იმ მშრალ უარყოფით პოზიციების გადასინჯვა, რომელზედაც ეყრდნობოდა დროებითი მთავრობა უკრაინელთა სურვილის მიმართ.

ეს გადასინჯვა უკვე მოხდა.

მაგრამ, ვაი, რომ მეორე გადაწყვეტილებამ მხოლოდ დაამტკიცა ის კატეგორიული რომელიც არა ერთხელ მოისმინეს უკრაინელებმა დროებით მთავრობის პირით.

ამ ჟამად გამოქვეყნებულია დროებით მთავრობის „მოწოდება უკრაინელთა მიმართ“, რომელშიც ისევ ის არის ნათქვამი, რაც წინედ იყო. მხოლოდ ტკბილად—მოშაქრულად.

ერთად-ერთი ადგილია, რომლითაც დროებით მთავრობა, თითქოს ჰპირდება უკრაინელებს სურვილს აგისრულებთო. ეს ადგილი ჰდაღადებს: „დროებითი მთავრობა თავის თავს ვალდებულად ჰსთვლის შეუთანხმდეს უკრაინის საზოგადოებრივ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს იმ გარდასვლითი ზომებში, რომელნიც შემდეგში უნდა მივიღოთ, რათა უზრუნველვჰყოთ უკრაინის ერის უფლებანი როგორც ადგილობრივ მართველობაში და თვითმართველობაში, ისე სკოლასა და სასამართლოში“... მაგრამ „მოწოდების“ ეს ადგილი ისე სუსტია, ისე ბუნდოვანია, რომ ბევრად არ განირჩევა წინანდელ უარყოფითი პასუხში.

ამ გვარად კენჭი ნაყარია. დიდი და მიუტევებელი შეცდომა გაიმეორა რუსეთმა. რა იქნება მომავალში?

შემდეგ მოჰყვება რუსეთისთვის ის დამღუპველი შედეგები, რომელიც ამ ცრუ ნაბიჯიდან გამომდინარეობს.

მართალია, ჩვენ უარსა არა ვწინასწარმეტყველებთ, ჩვენ არა ვფიქრობთ, თითქოს დროებით მთავრობას უკრაინელთა „დამშვიდება და მორჯულება“ ჰსურდეს. ამისათვის ჯერჯერობით მხოლოდ ერთად ერთი „რეჩი“ მოგვიწოდებს. ეს ყოვლად შეუძლებელია, როგორც ფიზიკურად, ისე მორალ ძალის მხრივ. ეს სრულიადაც არა ჰგავს იმ „დაუმორჩილებლობას“, რასაც ზოგ-ზოგი ანარქისტები აცხადებენ და ის პოლკები, რომელთაც ბრძოლის ველისკენ გამგზავრება არა ჰსურთ.

„დამშვიდება“ შესაძლებელია და სავალდებულოც არის, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, იქ კი—ყოვლად შეუძლებელია ჯერ მორალურად და შემდეგ კი ფიზიკურადაც.

სრულიადაც არა ვფიქრობთ: რომ ამ ორ მოძმე ხალხის შორის შუღლი და უთანხმოება ატყდება; დროებითი მთავრობა რუსეთის ისტორიაში დამნაშავეობას არ გასწევს. მაგრამ სხვა რამ ანარქია მოხდება; არეულობა და ბუნდოვანობა უმაღლესად თავს იჩენს რუსეთის ორგანიზმში.

დროებითი მთავრობა უკვე აცხადებს, რომ იგი თავის თავს ვალდებულად ჰრაცხავს უკრაინის საზოგადოებრივ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით იმოქმედოს. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს შეთანხმება?

ავტონომიის უარყოფით ხომ ჩატეხილია ხიდი მათს შორის?

რადგამ არა-ერთს გზის მიჰმართა დროებით მთავრობას, მაგრამ უღმობელმა ყურებში ხელი დაიცო. მაშინ რადა თვითონ დამოუკიდებლივ გაესაუბრა უკრაინის ერს. ასე და ამგვარად წავიდა საქმე! მაშასადამე დრ. მთავრობამ შეთანხმება უკრაინის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თვითონიერ ცენტრალ რადისა და ისიც ისეთ ვიწრო ნიადაგზე, როგორც ზემოდასახელებულ მოწოდებაშია ნათქვამი ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე რა მოჰყვება ყველა ამას? მოჰყვება ის გამოურკვევლობა, ერთ-ურთ დამოკიდებულებათა შორის, რაც კი ზემოდ მოვიხსენიეთ.

რასაკვირველია, ჩვენ არა გვჯერა, რომ ეს ორი მოძმე ხალხი ერთ-ურთს იარაღით მიჰვარდეს და სისხლი დაჰღვაროს ჩვენ. არ გვინდა ეს დავიჯეროთ—მაგრამ ვიტყვით კი, რომ არც „ილაპარაკებენ“ ერთმანეთში. მათს განწყობილებას მეგობრული ელფერი დაეკარგება და მერე როდის? ომის დროს, რევოლუციის დროს!.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა, ყოვლად შეუძლებელია. ერთ-ერთმა მხარემ უნდა დაუთმოს უფრო რადიკალურად, სანამ აქამდის ყოფილა.

მაგრამ რომელმა მხარემ?

რომელმა მხარემ უნდა დაუთმოს პირველად, რათა განახლდეს ერთმანეთში შეწყვეტილი დამოკიდებულებანი?

მართალია, საქმე ისე რთულდება რომ ვშიშობთ, მართალია „ძმათა-შორის“ ბრძოლას ყველაფერი ხელს უწყობს, ირყევა, ისედაც შერყეული ძალა რევოლუციისა.

მაგრამ ვისი ბრალია? ვისი სიბრმავით, და გაუგებრობით ხდება ეს?

იქნებ რადის ბელადებისა? მაგრამ არა, რადგან ისინი ნაციონალური მოძრაობის ბელადები არიან, ნაციონალური მოძრაობა კი შეუკავებელია. ეს შეიგნონ რადის მოწინააღმდეგემა.

კიევის „უნივერსალ“-ი—ეს „ქაღალდის ნაგლეჯი“ ხომ არ არის. იგი ხალხის გულის სიღრმიდინ ამოხეთქილ სურვილების გამომხატველია.

კიევის უნივერსალი—ეს, უკრაინელების ნაციონალურ თავისუფლების ის სიგელია, რომელსაც თვით უკრაინელები ისტორიულად იმპერიისლავის ტრაქტატს უკავშირებენ, რომელიც 1654 წელს უკრაინის რუსეთთან თავის ნებით შეერთების დროს იქმნა დადებული. განა რომ, მაშინ რუსეთმა უკრაინის სრული ავტონომია ალიარა! მათ ხომ უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ყველა ის თავისუფლებანი რომელსაც უხსოვარ დროიდან სარგებლობდნენ.

კიევის „უნივერსალ-“ი—ეს ხომ მთელი ერის ნაციონალურ აღდგომის სიმბოლოა, ჩვენ კი გვეძახით: უარ ჰყავით იგი, როგორც უტაქტიკო ნაბიჯიო ეს შეუძლებელია. სხვა იქნებოდა რომ საქმე პოლონელებზე, სერბებზე, ირლანდელებზე, ფინელებზე, ან სომხებზე მიმდგარიყო, მაშინ ჩვენ, რუსეთის დემოკრატია საქმეს ღრმად ჩავწვდებოდით. მაგრამ საქმე უკრაინელებზეა მიმდგარი, და ჩვენ ეს არ გვესმის. აი ამაშია ჩვენი დანაშაული, უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენი სიბრმავე. ჩვენ, პირდაპირ ვერ ვამჩნევთ ფაქტს, რომელსაც დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა

აქვს, როგორც ჩვენთვის ისე მოძმე უკრაინელებისთვის.

ჩვენ არ გვესმის, თუ რას მოვითხოვთ უკრაინელებისაგან. უნივერსალის უარის ყოფა, ეს ხომ ახალ უბედურების შემატება იქნება, როგორც ჩვენთვის ისე იმათთვის; არა ღმერთმა გვიხსნას ასეთ სასჯელისაგან. ხსნა მხოლოდ დროებით მთავრობისა და რუსეთის დემოკრატიის მიერ უკრაინულ ნაციონალურ მოძრაობის შეგნებაშია. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეგნება დღითი დღე იზრდება.

და როდესაც რუსეთის დემოკრატია ამას შეიგნებს. მაშინ უკრაინელთა „უნივერსალი“-ს უარ-ყოფას კი არ მოითხოვს, არამედ დროებით მთავრობისაგან უკრაინელთა მიმართ უარყოფით პოზიციის დათმობას.

## სიტყვა

**თქმული ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის კურთხევაზე 1917 წ. მკათათვის 2-ს, დეკ. თალაკვაძის მიერ.** *)

კლასთა და პოლიტიკურ მიმართულებათაგან წარმოყენებულმა ბრძოლამ სამუდამოდ როდი უნდა გაგვთიშოს ურთი-ერთ შორის. ბრძოლა და კლასიური დაყოფა მიზანი როდია ცხოვრებისა! არა,— ისინი მხოლოდ საშვალებაა უკეთეს ცხოვრების დამყარებისა კაცთა შორის, როდესაც ბოლო უნდა მოეღოს ინტერესთა წინააღმდეგობას და აღიარებულ იქმნას სრული სოლიდარობა ერთა და კაცთა შორის. ნაცვლად წარმართ რომაელთაგან ნაანდერძევ თქმულებისა-„კაცი კაცისათვის მგელიაო“,—უნდა აღიარებულ იქმნას ქრისტიანული სოციალური დებულება: „კაცი კაცის წამალიაო“! კაცობრიობამ უნდა იცნოს თავის თავი ღვთის შვილად, მთლიან ერთეულად, რომ ერთი მეორეს მტლედ და წამლად ედებოდეს, რომ ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა მძიმე უღელი შეიცვალოს ქრისტე მაცხოვრის ტკბილ და მსუბუქ უღლით!! ამ „უღლის“ ქვეშე უნდა გაერთიანდეს კაცობრიობა, რომ მოიპოვოს სულიერი კმაყოფილება და განსვენება. სხვა გვარი განსვენება წარმავალია და ფუჭი...

ერთეულ-მოქალაქეობრივ ურთიერთობაშიაც უსათუოდ „ერთობაშია ძალა“. მაშასადამე ეროვნულ მისწრაფებათა საერთო შეგნება და მათი ერთ-სულოვნად განხორციელება, არა გაადონიერებს ჩვენს ფრიად დამაშვრალ ქართველ ერსაც, განამტკიცებს მისს არსებობის პირობებს და იხსნის მას ვინმესგნით კვლავ დაჩაგვრისაგან სად-ღონიერ ეროვნულ სხეულში დიდ იწარმოოს კლასთა ბრძოლამ! გათვითცნობიერებულ ერში იყოს საერთაშორისო, საკაცობრიო აზრთა და მიმართულებათა ძლიერი გაცვლა-გამოცვლა! ეროვნულ დღლაბით გაქვითკირებულ ერში იყოს სხვა და სხვა რწმენა-სარწმუნოება: მართლ-მადიდებლობა, რომთა კათოლიკობა, გრიგორიანობა და თვით მაჰმადიანობაც! ოღონდ ესენი საკუთარ-ეროვნულ ნიადაგზე ახორციელებდენ რწმენის და სინდისის სრულ თავისუფლებას.

რა ჰქმნის ეროვნულ არსებობისათვის მტკიცე პირობებს?—ყოვლის უპირველესად საღი, საზრიანი და ნაყოფიერი სწავლა-განათლება „ჰკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰკვა ცოდნით მოიხმარებისო“,—გვიანდერძა მგოსანმა! დიახ, სწავლა რომ სინათლეა, ხოლო უსწავლელობა სიბნელე,—ეს ჩვენს ერსაც კარგათ აქვს დღეს შეგნებული; მძლავრადაც ეწაფება ის სწავლა-განათლებას, მიუხედავად იმისა, რომ დუხჭირი რეჟიმი გზას უღობავდა მას ამ მისწრაფებაში და თანაც მის მოზარდ თაობას ანტი-პედაგოგიურად მოწყობილ სკოლებით ნიჭსა და ჰკუა-გონებას უჩლუნგებდა.

დღეს ჩვენი საერთო მოთხოვნილება—ეროვნული სკოლა, საღ პედაგოგიურ საფუძველზე აგებული.

მეორე პირობაა—სამშობლო ქვეყნის მიწა-წყლის ანუ ტერიტორიის დაცვა. ტერიტორია არის ერის ბუდე, მისი ბინა, სადაც ის ახორციელებს თვის დანიშნულებას. ცხადია, უბინადრო, მოხეტიალე ერი უბედური! ძნელად, რომ მან სადმე ფეხი გაიდგას.

საჭიროა ეროვნულ მიწა-წყლის არამც თუ გარეშეთაგან დაცვა,—ამასთანავე ძლიერ საჭიროა ამ მიწა-წყლის ჩვენს დედა-ბოძ მშრომელ გლეხობაზე სამართლიანი განაწილება აქ ისახება და თავისთავად იგულისხმება ახალი ეკონომიური პირობები ჩვენი ერის ნივთიერად გაღონიერებისა და მის არსებობის განმტკიცებისა. ცნობილია ყველგან და ყველასთვის, რომ მშიერი კუჭით, ცარიელი თავით და გაფხეკილი ჯიბით არსად არაფერი შექმნილა და არც ჩვენში შეიქმნება! მაშასადამე სწავლა-განათლებასთან ერთად წინ-გვიძევს საკითხი ჩვენი ერის ეკონომიურ პირობების საუკეთესოდ შექმნა-მოგვარებისა.

ამისათვის სხვათა შორის საჭიროა ვაჭრობა-მრეწველობის ჩვენში გაჩაღება, აღორძინება და წარმოება. ამ მხრივ ძლიერ დაქვეითებულ-ჩამორჩენილნი ვართ ქართველობა. მაგრამ ამ დარგსაც კარგი პირი უჩანს ჩვენში. ქართველობა საოცარ ნიჭს, უნარს და ენერგიას იჩენს აღებ-მიცემობაშიაც, ოღონდ ხელი მოემართოს მას ამ მხრივ. ვაჭრობა - მრეწველობისათვის, გარდა ნიჭისა და უნარისა, საჭიროა ფული, ანუ კაპიტალი, რომელიც დროთა ვითარებისა გამო ძლიერ ნაკლებად აქვს ჩვენს ერს დაგროვილი. მაგრამ მარტო ფულზედაც როდი ყოფილა თურმე საქმე? ფული ხომ ფულია, მაგრამ ნდობაც თურმე იგივე ფულია და „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“,—ნათქვამია.

მადლობა ღმერთს ქართველ ერს ნდობა აქვს, შემდეგში უფრო მეტიც ექნება.—„ხერხიც“ აღმოაჩნდა მას ამისათვის! ჩვენ მოვიხსენებთ იმ კოოპერატივებზე და წვრილ კრედიტულ დაწესებულებებზე, რომლებითაც დაიქსელა ჩვენი ქვეყანა ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში. გვაქვს რამოდენიმე მსხვილი ბანკებიც დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისა, რომელნიც არ კმაყოფილდებოდნენ წოდებრივ ფარგლებით და ხელს უწყობდენ ჩვენი ქვეყნის ნივთიერად წინსვლას. გვაქვს სამეურნეო ბანკიც თბილისში, რომელიც ცოცხლად და ნაყოფიერად მუშაობს თვის დარგში. მაგრამ ყველა ესენი წვეთია ზღვაში.

არსებულ საკრედიტო დაწესებულებებს მიემატა ეს ახალი ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკიც, რომელიც გახსნილია ქართველების თაოსნობით, მათი შეგნებით და მათივე კაპიტალის დაგროვებით, რათა ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას ხელი შეუწყონ, უწინამძღვრონ და სწრაფ განვითარების გზაზე გამოიყვანონ.

მართალია, ბანკი საზოგადოდ, როგორც ფინანსიური დაწესებულება, ინტერ-ნაციონალური ხასიათისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც მწარე გამოცდილებამ გვამცნო, სულ ერთი არ ყოფილა ვის ხელში იქნება ჩვენს სამშობლოში ასეთი ფინანსიური დაწესებულებანი. ამიტომ დიდი მადლობის და პატივის ღირსნია ის ქართველნი, რომელთაც ჩვენს სამშობლოს აჩუქეს „ასეთი ინტერნაციონალური დაწესებულება“! ასეთი შეგნება ამ ბანკის მესვეურებისა უეჭველი თავდებია იმისი, რომ ეს დაწესებულება ფართოდ ფრთას გაშლის ჩვენში, მარდად, ცოცხლად და ნაყოფიერად ამოძრავებს ჩვენი ერის აღებ-მიცემობის და მრეწველობის ძალ-ღონეს და ხელს მოუმართავს ჩვენს ფინანსისტებს ეროვნულ დოვლათის დაგროვებაში.

ეს დაწესებულება ერთნაირ კვანძადაც გადაიქცევა სხვა ერთადმი საფინანსიურ დამოკიდებულებათა გასაჩაღებლად. ცნობილია, რომ „ცარიელ ხელში არავინ შეგხედავს“, ხოლო თუ დაინახეს, რომ შენც ხელში რადაც გაბადია,—პატივისცემით გეგებებიან და შენთან საქმეს იჭერენ...

ეს მშვენიერი, ქართულ ხუროთმოძღვრებით აგებული შენობაც ბანკისა, რომელსაც დარაჯად დასდგომია საქართველოს დიდებული წმ. მეფე დავით აღმაშენებელი, თავდებია, სხვათა შორის, იმისიც, რომ ახალ ხანაში,— ახალ ეკონომიურ საფუძვლებზე უნდა მოხდეს საქართველოს კვლავ აღშენება, აღორძინება და ეროვნულ თავისუფლების განმტკიცება. ჩვენში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობა სწარმოობს, მაგრამ ის თანდათან სამრეწველო ასპარეზზე გამოჰყავს თანამედროვე კულტურას და ქართველი ერიც უსათუოდ სამრეწველო ფერხულში უნდა ჩაებას. ამას კი საჭიროა ხელის შეწყობა კრედიტით, სამეურნეო სამრეწველო ცოდნით და თაოსნობით. ჩვენი ქვეყნის აურაცხელი მთა-მადნეულობა ჯერ კიდევ მიწის გულში ძევს უქმად, თუ არა და უცხოელები დასევია მას და გვწოვენ ყვავ-ყორნებივით. რათ გვინდა მხოლოდ პოლიტიკურ-ეროვნული თავისუფლება თუ ეკონომიურად ისევ მონობაში ჩავრჩებით! სანამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სვებედი უცხოთა ხელშია,—მანამ საქართველო ჩვენი როდია, მამულიშვილნო! ის მხოლოდ „სახელად არის ჩვენი, საქმით კი სხვისი“ გამხდარა! ცხადია პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად ეკონომიურად განთავისუფლებასაც უნდა შევუდგეთ. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენვე დავიმუშაოთ, ჩვენვე ვაწარმოოთ და ვისარგებლოთ კიდეც! ასეთ მოქმედებას ერისას ხელს უწყობს და წინამძღვრობს—აი ასეთი ბანკი, რომელიც, როგორც სამრეწველო დარგისა, პირველი მერცხალია დღეს ჩვენში და ღმერთმა მას ხელი მოუმართოს!

ვახსენოთ, საყვარელნო, ღმერთი,— ეს დაუსაბამო წყარო ყოველივე სიკეთისა და დოვლათისა! ვაკურთხოთ ღვთის სახელით ამ დაწესებულების მოქმედებ! მოვიწვიოთ მასზედ მადლი ღვთისა, რომელიც ჰკურნავს ხოლმე კაცთა უძლურებათა და შეავსებს ჩვენთა ნაკლულევანებათა.

წმიდაო, საქართველოს აღმაშენებელო მეფე, დავით, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის! ამინ.

*) დასასრული იხ. „საქართ“. № 145.

## სამურზაყანო

მეტად მიყრუებული და მივარდნილი კუთხეა სამურზაყანო. იშვიათად თუ შეხვდება ადამიანი მის შესახებ რამე ამბავს ჩვენს პრესაში. სამურზაყანოს არა ჰყავს ისეთი პატრიოტი, რომელიც მუდამ მას თავს ევლებოდეს და მის პროგრამას ყველას ატყობინებდეს. გამოსასწორებელი და დასაწერი ბევრი რამ არის, მაგრამ ყველაზედ დიდს სატკივარს სამურზაყანოსას სახალხო სკოლების ბედშავობა და გადაგვარება წარმოადგენს. სამურზაყანო არ არის სკოლებით ღარიბი, იქ 70 სკოლაზედ მეტია, მაგრამ საქმე ეს არ არის, საქმე ის არის, რომ ყველა ეს სკოლები მთელის თავისის შემადგენლობით გარუსების პოლიტიკას ემსახურება. ყველა ამ სკოლებიდან განდევნილი იყო სამშობლო ქართული ენა, არცერთს მათგანში ხსენებაც კი არ იყო ქართულისა. ყოფილი და დღეს განდევნილი ზედამხედველი სკოლებისა ბ-ნი ლეფეროვი სასტიკად სდევნიდა ყველაფერს მშობლიურს და სამარეს უთხრიდა იმ მასწავლებლებს, ვინც გაჰბედავდა და სასწავლებლის გარეშე მაინც ასწავლიდა ვისმეს ქართულს წერა-კითხვას. ისეთ უკიდურესობამდის მიდიოდა ასეთ მასწავლებლის დევნა, რომ ოცდაოთხის წლის ნამასწავლებელი ეუხვარი იმისთვის დაითხოვა, რომ კი გაჰბედა და შეგირდებს ქართული წერა-კითხვის სწავლება დაუწყებინა.

ამგვარმა გარუსების პოლიტიკამ თუმცა თავისი დღენი მოჰჭამა, პოლიტიკანი აღ ფიროვიც აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისუფლების გამოცხადებისათანავე იქით გაისტუმრა საიდგანაც მობძანდა, მაგრამ გარუსების პოლიტიკის შედეგი და კვალი კი დიდია სამურზაყანოში. ჩემს წინ აწყვია რამდენიმე სოფლის განაჩენი ერთის საქმის გამო. აბა ჩაათვალიერეთ, რამდენს უწერია ხელი ზედ. თითქმის არავის. ან კი ვინ მოაწერს ხელს ქართულად, როცა არავის უსწავლებია მათთვის ქართული წერა-კითხვა. ასეა ყველა საქმეში.

მაგრამ ღლევანდელმა განმათავისუფლებელმა ხანამ საჩქაროდ უნდა აღმოფხვრას ყოველივე ეს. ამ საზაფხულოდ ზუგდიდში გახსნილი ქართული ენის და ლიტერატურის კურსები მასწავლებელთათვის სწორედ რომ მისწრებაა სამურზაყანოს მასწავლებელთათვის, რომელნიც თითქმის სულ მეგრელები და აფხაზები არიან. მათში ქართული ენის ცოდნა და მით უმეტეს ლიტერატურისა მეტად მცირეა. საზაფხულო კურსები, რასაკვირველია, ისეთს მასწავლებლებს, რომელსაც სრულიად არა აქვს ცოდნა ქართული ენისა ბევრს ვერას შესძენს და გინდაც შესძინოს ცოტა რამ, მაინც ეს საკმარისი არ იქნება, რომ ამ ენაზედ მეცადინეობა მოაწყოს სასწავლებელში. ამიტომ საჭიროა საქმე იმგვარად მოეწყოს, ის აფხაზი მასწავლებლები, რომელნიც სამურზაყანოში მეგრელთა სკოლებში მასწავლებლობენ უნდა წავიდნენ სოხუმის ოლქის აფხაზთა სკოლებში, აფხაზების სკოლებიდგან კი, პირიქით, სამაგიეროდ უნდა წამოვიდნენ ქართველი მასწავლებლები და სამურზაყანოში გადმოვიდნენ. სასურველია სწორედ ასე მოეწყოს საქმე, თორემ ის მასწავლებელი, რომელმაც არ იცის ქართული, რაღანაირად ასწავლის ბავშვებს ქართულ ენას.

სამურზაყანო, ეს უხვი ბუნების ქვეყანაა, მაგრამ საუბედუროდ მეურნეობა ერთს წერტილზედ გაყინულა და ძვრა არსაით აქვს. მთელს კუთხეში ვერსად ნახავთ ხეხილის ბაღებს, ვენახებს და სხვა ისეთს მცენარეს, რაც საუცხოვოდ მოვა. გარდა სიმინდის მოყვანისა აქ ურებს ვერაფერი უსწავლიათ, თამბაქოს მოყვანა რა არის, იმასაც კი მხოლოდ ეს მეორე წელიწადია რაც მიჰყვეს ხელი, მიუხედავად იმისა, მათი მეზობლები კოდორისა და გუდაუთის საზოგადოებებში დიდი ხანია მისდევენ ამ დარგს მეურნეობისას და კარგა ფულიც შეიძინეს ამითი. საჭიროა ეხლანდელმა განახლებულმა ქვეყნიერებამ მიაქციოს დიდი და ჩქარი ყურადღება მეურნეობის მდგომარეობას სამურზაყანოში და ხეხილის სანერგე დააარსოს იქ, საიდგანაც ყველას შეეძლება სარგებლობა. მართალია მცირე სანერგე სოხუმშიაც არსებობს, საიდგანაც მსურველთ შეუძლიათ ისარგებლონ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სოხუმი, სამურზაყანოს 60 ვერსითაა დაშორებული და ყველასათვის ხელმისაწდომი არ არის. მეხილეობა კი დიდს სარგებლობას მოუტანდა აქაურობას, ზღვის მშვენიერი მსუბუქი ჰაერი შესაძლებელს გახდიდა აქ ძვირ ფასი ხილის მოყვანას, როგორც მარდარინია, ფორთოხალი და სხვა, მაგრამ საუბედუროდ ამგვარი რამ ჯერ არავის უცდია.

აქეთ გამუდმებული წვიმებია. დღე ისე არ გაივლის, რომ წვიმა და ზოგჯერ თქეშიც არ მოვიდეს, ამიტომ მცხოვრებლები შიშით გაიძახიან—თუ ასე გაგრძელდა ყანები მთლად ჩაგვილპება და კარს შიმშილი მოგვადგებაო.

ზ. ეღილი.

## კორესპონდენცია

### ქურდების ჩაქავება

**ს. საგარეჯო.** თიბთვის 13-ს დაიკარგა ერთი ახალგაზდა ებრაელი ფარჩით და ცხენით. მესამე დღეს ანთოკის ტყეში მხოლოდ უნელო ცხენი აღმოაჩინეს. ადგილობრივი კომისარი, მილიციონერები და ხალხიც შეუდგა დამნაშავეთა ძებნას. მალე შეიპყრეს 9 კაცი; მოხრობლებით უმტკიცდებოდათ ებრაელის მკვლელობა—აგრეთვე აღმოაჩნდათ დაკარგული ფარჩა. ბევრნაირათ აწამეს, რომ გამოტეხილიყვნენ და მკვდარი ებრაელი მაინც გამოეჩინათ, მაგრამ არ გამოტყდნენ და პირიქით დამჭერებს სიკვდილს ემუქრებოდნენ, ასე ეუბნებოდნენ: ეხლა ხომ სიკვდილით დასჯა აღარ არისო და კატორღიდამ ხომ მოვალთ და დაგხოცავთო. კვირას, მკათათვის 2-ს, კანცელარიის წინ შეიკრიბა დიდძალი ხალხი, მათ შორის დაჭერილების მშობლები და ნათესავებიც. ამორჩეულმა ხალხმა გადასწყვიტა ორი კვირით მათი შენახვა და გამოკვლევა საქმისა, ხალხს გამოეცხადა ეს განაჩენი, მაგრამ ხალხმა ერთბაშათ იგრიალა და გამოიყვანა დამწყვდეულთაგან 4 კაცი კიტე რაჟდენის ძე ქალიაძე 26 წლისა საგარეჯოელი, სანდრო თარიმანიშვილი (იგივე ფაზა) 27—წლისა ანთოკელი, შაქრო დიმიტრის ძე ბუჩაშვილი კატორგიდამ ამნისტიით განთავისუფლებული, იოსებ ადოლფის ძე დიდმელაშვილი გიორგიწმინდელი 28 წლისა ამნისტიით განთავისუფლებული კატორღიდამ.

ბრბო ეცა ამ ოთხ კაცს და ათ წუთში ქვით, კეტებით და რევოლვერებით ჩახოცა. ხოლო მისა თარიმანაშვილი 70 წლისა ზაბათ ღამესვე ნაცემი მოკვდა.

საზარელ სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა, მაგრამ ბრბოს ეტყობოდა თითქოს დაიკმაყოფილა თავისით.

გადაარჩინეს სიკვდილს ოთხნი აბრამ მიხეილის ძე ხოხობაშვილი, (ლეკიშვილათ წოდებული) 29 წლისა, სოლომონ ნიკოლოზის ძე ქოჩხული კატორღიდამ ამნისტიით განთავისუფლებული, გიგო მამისაშვილი და გოგლია თარიმანიშვილი ამ. უკანასკნელზედ ხალხში ხმა არის, რომ დიდი დანაშაულობა არა აქვს რა ჩადენილი.

ეს უკანასკნელი 4 კაცი იმ ღამეს ვერაიონის კომისარმა მოაშორა საგარეჯოს.

იგ. მჭედლიშვილი.

### სოფლის ავ-კარგი.

**ს. კავთისხევი.** სოფელს ჯეროვანი პატრონი ვერ გამოუჩნდა. ძარცვა, დატუსაღება, უმიზეზოდ და მიზეზ გამოუკვლეველად დამწყვდევა, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ასეთი მოვლენანი სოფელს ჰრყვნის და ახალდროებისადმი ნდობის დაკარგვა შეუძლიათ.

სოფელს პური თითქმის უჭირს, მაგრამ ამ სოფლიდან კი აქაურმა ტერტერამ პური გაზიდა სომხეთში. დააზარბა ხალხი ფულათ. ნიხრი 15 მან. კოდზე (4 ფუთი), ტერტერა კი 25 მან. აძლევს. ამრიგად რამდენიმე ურემი პური გაიტანა. ასეთი მოვლენაც საშიშია სოფლისათვის. ამას სიმშილი შეუძლიან ჩამოაგდოს. ხელს შემშლელი არავინ არის.

სადგურთან მტკვარზე ბორანია გამართული. მებორნისათვის უთქვამთ, უნდა ჩამოგართვათ ბორანი და ჩვენ ვაწარმოვოთო. გულ გატეხილ მებორნემ ხელი აიღო ბორანზე და ხალხის გადამყვან-გადმომყვანი რიგიანად აღარავინ არის. აქამდისაც მოუწესრიგებელი იყო ბორნის საქმე და ეხლა ხომ მთლად დაეცა. ხალხი კი გაჭირვებაშია. არც ახალი პატრონი გამოუჩნდა ბორანს და ძველმაც ხელი აიღო. სოფელს კი ყურის მგდებელი არავინა ჰყავს.

კავთისხეველი.

### ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდამ გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 2.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ბაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—6 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. | ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ | ს. დათეშიძისა
8) „ „ „ III „ | ალ. მჟავანაძისა? მგალობლიშვილისა.

მზადდება გამოსაცემად:

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.
ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. / „ „ „ „ III და IV „ — შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.
პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშვალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: Кутаисъ, кнгоиздательство „Ганатлеба“.

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ზელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ხეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპისევი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილოსნო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საშვილოსნო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—30

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2 დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—44)

თბილის მრეწველის

ძმ. მეგვინეთუხუცესები?

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 2, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მიიღება საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ძ. მ...“, სამრეწველოებიდან ახალი ქსოვილის ნაწარმოები, მცირე მარიდიანი, შავი „...“ ხიზილალა. მიიღება საუკეთესო საღვინის შამპანი მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხიზილალები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხელსაყრელი ფასებში. (წ.)